15-ს სეკტემბერს. № 20 1887 წელსა.

# მწყემსი

1883-1887

«მწყემსი» დამატებით გამოდის თვეში ორთხჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

გაზეთის ფასი:

| | | |
|---|---|---|
| ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად | | 5 მან. |
| ნახევარი წლის — | — | 3 — |
| «მწყემსი» რუსული დამატებით | — | 6 — |
| ნახევარი წლით — | — | 4 — |
| ცალკე რუსული დამატება წლით | — | 3 — |
| ნახევარი წლით — | — | 2 — |

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Кви-рилы, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატეა, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## ვალდებულნი არიან თუ არა მღვდლები, რომ მომრიგებელ-მოსამართლეების დაბარებაზე უსასყიდლოდ იარონ სასამართლოებში მოწმების დასაფიცებლად?

ყველაფერი საჭიროება და მოთხოვნილება მ მრიგებელ სასამართლოებისა წინათვე მოფიქრებული და მოსაზრებულია,—ასე რომ დღეს არც ერთი საჭიროება და მოთხოვნილება ამ სასამართლოთა დაუკმაყოფილებელი არ რჩება. საქმეების გამრავლებისათანავე ამრავლებენ მოსამსახურე პირთა რიცხვსაც; ხარჯის მომატების დროს ნამეტან ხარჯს ჰფარავენ მთხოვნელთა და მოპასუხეთაგან გადახდილ ფულებით. სულ უბრალო საგნებისათვისაც კი არის მოფიქრებული ხარჯი, რომ ამ სასამართლოებში საქმეების მსვლელობას დაბრკოლება არ მიეცეს და მომჩივან-მოპასუხენი ამით არ ჩავარდენ ტყუილ-უბრალო ხარჯში. მაგრამ, სამწუხაროდ, ერთი უმთავრესი საგანი სრულებით უყურადღებოდ არის გაშვებული; ამ საგანზე მთელ რუსეთში მოსამართლეთა მიაქციეს ყურადღება და მართებლობამაც თავის მხრით კანონმდებლობითი წესით განმარტა და ბოლო მოუღო ამ დაბრკოლებას. ჩვენ ვამბობთ მოწმების დაფიცებაზე სასამართლოებში.

ვერ წარმოიდგენს კაცი იმ ზარალს და შეწუხებას, რაც მოწმების დაუფიცებლობით ადგია ჩვენში როგორც მომჩივანს, ისე მოპასუხეს. ყველამ იცის, რომ ერთ ადგილას გადაწყვეტილი და გათავებული საქმე სრულებით ირღვევა მეორე უმაღლესი სასამართლოსაგან იმ მიზეზით, რომ მოწმები არ იყვნენ დაფიცებულნი. რამდენი კასსაცია და აპპელაცია იწერება ხშირად მარტო იმისათვის, რომ მოწმები მომრიგებელ სასამართლოებში დაფიცებულნი არ იყვნენ. რამდენი ტყვილი ჩვენება იწერება და რამდენი პირი ვარდება ძალა-უნებურად უკანონო მოქმედებაში იმის გამო, რომ თავის დროზე არ იყო დაფიცებული მოსამართლისაგან. ერთი სიტყვით, მრავალგვარია ზარალი, რომელიც წარმოსდგება თავის დროზე მოწმების დაუფიცებლობისაგან.

ერთი უმთავრესი სახსარი, ერთი უპირველესი საშუალება მოსამართლისათვის სიმართლის შესატყობლად არის ფიც ქვეშ ჩვენება, და საკვირველია, რომ დაფიცებაზე ყველაზე ნაკლები ყურადღება მიქცეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ, სადაც მოსამართლეს ხალხის გაჭირებისათვის ყურადღება მიუქცევია და ხალხზე გული შესტკივა; იქ, სადაც მოსამართლე სცდილობს სამართალი აღუსრულოს ხალხს რიგიანად და კანონიერად, ყველგან შერიგებიან მღვდლებს მცირე სასყიდლით და საჭიროების დროს არც ერთი მოწამე დაუფიცებელი არ რჩება, მაგრამ სადაც მოსამართლენი ასე არ ჰკიდიან საქმეს, სრულებით არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ამ გარემოებას. როდესაც მომჩივან-მოპასუხე მოსამართლეს სთხოვენ, რომ მოწმებს უთუოდ ფიცით ჰკითხონ, მოსამართლე მათ ეუბნება: „აქ მღვდელი არ არის, წადით, სადაც გინდათ, მოიყვანეთ მღვდელი და დავაფიცებთ მოწმებს, თორემ რა გიყოთ». სად იშოვონ მომჩივან-მოპასუხემ მღვდელი, საიდან მოიყვანონ იგი! ან კი რა დროს მღვდლის ძებნაა მოწმების დასაფიცებლად? თუ დაუფიცებლად მოწმების კითხვაზე თანახმა არ იქნა რომელიმე მხარე, მოსამართლე ამ მიზეზის გამო საქმეს არ გადადებს; ის ართმევს ხელ-წერილს მოწმეებს, რომ ისინი რასაც აჩვენებენ უფიცრად, ფიცითაც დაამტკიცებენ. ეს ხელ-წერილი საქმეში რჩება. მოწმეებმა უფიცრად რომელიმე მხრის გულისათვის სიცრუე აჩვენეს. შეპაპულო მხარეს საჩივარი გადააქვს ოლქის სასამართლოში და თხოულობს, ფიცით ჰკითხონ მოწმებს. ოლქის სასამართლო არღვევს ამ განჩინებას, და არ დაარღვიოს, არ შეუძლია და უბრუნებს საქმეს უკანვე სასამართლოს იმისათვის, რომ მოწმებს ფიცით ჩამოართვან ჩვენება. არის ერთი გაუთავებელი მიწერილობა. საქმე ღირს ოც მანეთად და მოცდენა მთხოვნელისა ორმოც მანეთად. ჩამოართვეს ჩვენება მოწმებს ფიცით. მოწმები ეხლა ორ ცეცხლშუა არიან ჩავარდნილნი: თუ შეშალეს პირველი ჩვენება, სამართალი სჯის მათ, თუ არ შეშალეს ჩვენება, სიცრუეზე უნდა დაიფიცონ. აი, ერთი მიზეზი, რომელიც ჩვენში ცრუ-ფიცქვეშ ჩვენებას ამრავლებს.

მოხდება ხან-დის-ხან, რომ სასამართლოში იქნება ვინმე მღვდელი თავის საქმისათვის. ამისთანა შემთხვევაში ეს მღვდელი აფიცებს მოწმებს, მაგრამ ხშირად სასამართლოებში სრულებით არ არის მღვდელი. ამისთანა შემთხვევაში მოსამართლენი მიიქცევიან ხოლმე ადგილობით ბლაღოჩინთან და სთხოვენ, რომ ერთ-ერთი მღვდელი გაგზავნონ სასამართლოში მოწმების დასაფიცებლად; ბლაღოჩინებიც დიდს გაჭირვებაში არიან. მღვდელს თავის სამრევლოში ყოველთვის საჭიროება აქვს და რომელი მღვდელი გაგზავნოს არ იცის. სანამ მღვდელი სასამართლოში მივიდოდეს, მანობამდისინ საქმე ხან-დის-ხან გათავებულიც არის. ვსთქვათ, მივიდა მღვდელი სასამართლოში და დააფიცა მოწმები. არავითარი სასყიდელი მას არ ეძლევა არავისაგან. ნუ თუ მღვდელი ვალდებულია ქვეითად იაროს სამი-ოთხი ვერსტი მომრიგებელ-მსაჯულის დაბარებით?! კანონი ვექილს ნებას აძლევს, რომ მანეთზედ ორი შაური აიღოს. მისი დაცული საქმე, ვსთქვათ, 5000 მ. სალირალია. ერთ ან ორ საათში ვექილს კანონი აძლევს ხუთას მანეთს და მღვდელს, რომელიც ორ საათზე მეტს იშრომებს და ქვეითადაც ივლის, ერთ გროშს არ აძლევენ.

მადლობა ღმერთსა, ამ ბოლო დროს ამ გარემოებას მიექცა ყურადღება, ვისგანაც ჯერ იყო, და უმაღლესად დამტკიცებული მშვენიერი განკარგულება გამოცხადდა. ამ განკარგულებით მღვდელს ეძლევა დღეს კანონიერი დაკმაყოფილება თავისი შრომისათვის. აი, ეს განკარგულება:

«სახელმწიფო რჩევამ სამოქალაქო და სასულიერო საქმეთა და კანონთა შეერთებულ დეპარტამენტში და საზოგადო კრებაზედ, განიხილა რა წარდგინება იუსტიციის სამინისტროს მმართველისა შესახებ დაჯილდოებისა სასულიერო პირთა, რომელნიც მიიწვევიან საზოგადო სამოსამართლო დაწესებულებაში მოწამეთა დასაფიცებლად და სხვა პირთა სამოქალაქო საქმეებშიდ, დააწესა:

1) სტატია 863 სამოქალაქო სამსაჯულოის წესდებულებისა (სამს. კან. იმპერატორის ალექსანდრე II 1883 წ.) განმარტებულ იქმნას შემდეგი დადგინებით: სტატია 863 სამღვდელო პირნი ყველა აღსარებისანი, მიწვეულნი მოწამეთა დასაფიცებლად საზოგადო სასამართლო დაწესებულებაებში, მიიღებენ საშრომლად სამსაჯულოში გამოცხადებისათვის და იქ ყოფნისათვის ერთ მანეთ ფულს თითოეულ საქმეზედ, დამოუკიდებლად ამ საქმეზე დაფიცებულ მოწათა რიცხვისაგან. ეს ჯილდო მიეცემათ მღვდლებს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ფიცი არ შესრულდება, მაგრამ მღვდელი კი ამ მიზნისათვის გამოცხადდა სასამართლოის მოწოდებით, ანუ იქვე იყო დაკავებული.

სტატია 864 იმავე წესდებულებისა კი განემარტოს შემდეგის სახით: სტ. 864 სტ. 858, 862 და 863-ის ძალით ხვედრი ფული წინადვე წარმოიდგინების იმ მომჩივანთაგან, რომელთა თხოვნით მოხდა შემოწმება დამტკიცებათა (მოწმობათა). თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩღიზ-სა წელსა გამოირჩიეს მეორე ადგილი ამ ტაძრის ასაგებად. ეს მეორე ადგილი იყო სწორედ ის ადგილი, სადაც დღეს მდებარეობს პეტრე დიდის ძეგლი, მდინარე ნევის პირად ადმირალტეისტვოსა და სენატის შუა. ამ ახალ ადგილზე ააგეს ჯვრის სახის ეკკლესია, რომელიც სიგრძით იყო ოცდა რვა საჟენი და სიგანით თერთმეტ საჟენ ნახევარი. კედლები ტაძრისა იყო ქვითკირისა, მაგრამ ცა შეკრული ჰქონდა ხითა, გუმბათი ჰქონდა მაღალი. ამ გუმბათში იყო მოწყობილი მშვენიერი საათი ზარებით; ამ ტაძრის გაკეთება დაჯდა ოც-და-თუთხმეტი ათასი მანეთი მაშინდელი ფულით.

თუმცა მრავალი დაიხარჯა ტაძრის აგებაზე და მოწყობაზედ, მაგრამ არქიტექტორების მოუფიქრებლობამ მალე იჩინა თავი. ტაძარი იყო აგებული მდინარე ნევის პირზე სულ ათი საჟენის სიახლოვეს. ჭაობიანმა ადგილმა, რომელიც არაფრით არ იყო გამაგრებული, ვერ უძლო ტაძრის კედლების სიმძიმეს, ამიტომ ტაძარმა დაიწია ძირ და ძლიერ საშიშო ნაპრალები გამოჩნდნენ კედლებში. არქიტექტორებმა ეკკლესიის დასამაგრებლად გარშემო შემოუშენეს კიდევ კედლები და გალერეია გაუკეთეს, ხოლო სამრეკლოს დასამაგრებლად ტაძარს აუშენეს ცირიბული სვეტები რომელსაც არქიტექტორები ეძახიან «კონტრ-ფორსა». მაგრამ ერთხელ ვე თუ იჩინა თავი ერთმა უბედურებამ, მერე სხვაც ადვილად ეწვევა. 25 მაის 1735 წელსა მეხი დაეცა ამ ადგილს და მთლად დაიწვა რაც ხის რამე ჰქონდა ამ ტაძარს. ამ უბედურების შემდეგ ტაძარი თუმცა შეაკეთეს, მაგრამ გარეგანი მისი შეხედულობა სულ სხვა იყო. ეს ტაძარი მნახველს წარმოუდგენდა დაუთავებელ ეკკლესიის სურათს.

ამ მდგომარეობაში დარჩა ეს ტაძარი იმპერატრიცა ეკატერინა მეორემდის. ოცდა ცამეტი წლის გასვლის შემდეგ, რაც მეხისაგან დაიწვა ეს ტაძარი, იმპერატრიცა ეკატერინა მეორემ, რომელიც დიდს პატივსა სცემდა და დიდი კრძალვა ჰქონდა პეტრე დიდის ხსენებისა, ისურვა ახალი, უმჯობესი და უდიდესი საღმრთო ძეგლის აგება, რომელიც შესაფერისი ყოფილიყო მისთანა შესანიშნავი ხელმწიფისა. ამ მეორე მშვენიერი და დიდი ტაძრის ასაგებად იმპერატრიცამ აღმოირჩია წყლის პირიდგან დაშორებული და უფრო ფართო ადგილი, სწორედ ის ადგილი, რომელზედაც დღეს არის აგებული ისაკიევის ტაძარი.

1768 წელში დაიწყეს შენება მარმარილოს ქვისაგან დიდი ხუთ გუმბათიანი ტაძრისა, მაგრამ იმპერატრიცა ეკატერინე მეორე ვერ მოესწრო ტაძრის დასრულებას. მის სიცოცხლეში მარტო კედლები იყო აგებული.

გამეფდა პავლე პირველი. ასე გვიან შენება ისაკიევის ტაძრისა, რომელიც დაწყებულ იყო იმპერატრიცა ეკატერინესაგან, არ მოსწონდა იმპერატორს პავლე პირველსა. მან ბრძანა, რომ მოეკლოთ ცოტა გეგმისათვის, ე. ი. ხუთ გუმბათის მაგიერ გაეკეთებიათ ერთი და ისიც არა დიდი; შენება დაესრულებიათ აგურით, ოღონდ კი მალე გაეკეთებიათ. იმპერატრიცა ეკატერინესაგან დაწყებული ტაძარი 30 მაისს 1802 წელსა იყო ნაკურთხი იმპერატორ ალექსანდრე პირველის დროს.

თორმეტი წლის შემდეგ იჩინა კიდევ თავი არქიტექტორების გამოუცდელობამ. ეკკლესიის თალიდამ დაიწყო ცვივილი შელესილმა კირმა და ეკკლესიაში ნამეტანი ნოტიობა აღმოჩნდა. ერთ დროს, ღვთით აღდკომას, წირვაზე კარგა ბლომად ჩამოვარდა შელესილი კირი თალიდამ. დაუწყეს ტაძარს შეკეთება, მაგრამ წირვა-ლოცვა მაინც მოისპო და ისაკევის ტაძრის კრებულს შემდეგ მრავალი მიწერ-მოწერისა მისცეს ნება ადმირალტეისტვოს დიდ ზალაში გაემართათ ღვთის მსახურება; ეს ზალა ეკკლესიად მოაწყვეს; დღეს აქ არის ტაძარი წმინდა სპირიდონის სახელზე. ამ ზალაშივე იყო მოწყობილი ერთი სამწირველო ისაკი დალმატელის სახელზე.

იმპერატორს ალექსანდრე პირველს, როდესაც მან ნახა ხარჯთა აღრიცხვა და სხვა-და-სხვა მოფიქრებანი ეკატერინესაგან დაწყებულის და შენებულის ეკკლესიის გასაკეთებლად, მშვენიერი ჰაზრი მოუვიდა თავში: მან განიზრახა ახალი ტაზრის აგება ისაკი დალმატელის სახელზედ იმ ადგილას, სადაც ეკატერინესაგან იყო დაწყებული ეკკლესია, რადგან ეს ტაძარი არც ძლიერ მტკიცე იყო და არც შესაფერისი თავისი დანიშნულებისა. შემდეგ გამარჯვებისა 1812 წელში მთელი რუსეთი კეთილ-დღეობაში და ბედნიერ ცხოვრებაში იყო. 1818 წელში ალექსანდრე პირველმა მისდამი წარდგენილ გეგმებში და ამ ეკკლესიის გადასაკეთებელ მოსაზრებათა შორის ამოირჩია ერთი გეგმა და გადაკეთების მოსაზრება, რომელიც ყველაზე უმეტესად მოეწონა და რომელიც იყო შედგენილი გამოჩენილი არქიტექტორის მონფერანდოსაგან; თვითონ ამ გეგმის შემდგენი მონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერანდო იყო დანიშნული ყველაზე უფროსად და ზედამხედველად ამ ეკკლესიის შენობის საქმეში. ახალი ტაძრის საფუძველი ჩაჰყარეს 26 ივლისს 1819 წელსა, რომელზედაც დაესწრო ხელმწიფე იმპერატორი და მთელი მათი იმპერატორებითი სახლეულობა.

მრავალ გზის ინიშნებოდა ხოლმე კომიტეტები ეკკლესიის გეგმის გადასახედავად და შენობის შემოწმებისათვის, მაგრამ საქმით არც ერთს კომიტეტს მაგდენი არა გაუკეთებია-რა, თუმცა აზრები და მოფიქრებანი მრავალნი დაიწერენ. მონფერანდოსაგან შედგენილი გეგმის გადახედვაში ოთხმა წელიწადმა გაიარა და გარდაწყვეტილი აზრი კომიტეტმა ვერა გამოსთქვა-რა. შეჩერდა ეკკლესიის შენება. ამასობაში იმპერატორი ალექსანდრე I გარდაიცვალა და ეს ეკკლესია კიდევ მოუსრულებელი დარჩა.

ავიდა ტახტზე იმპერატორი ნიკოლოზ პირველი. ამან თავის თვალით დაათვალიერა გეგმა ამ ეკკლესიისა და მთელი შენობის სურათიც, როგორიც უნდა აშენებულიყო. თავისი შეხედულებით საუმჯობესოდ დაინახა ცვლილების მოხდენა შენობაში. იმპერატორმა ბრძანა, რომ ოთხივე კუთხით მიემატებიათ შენობა ბალკონების მსგავსად, რომელშიდაც უნდა აღემართათ მშვენიერი და ძვირფასი სვეტები. ოთხი გუმბათის მაგიერად სახურავ ზევით ბრძანა აშენება ოთხი სამრეკლოისა. წინედ განზრახული იყო, რომ გარედამ კედლებზედ პერანგად შემოეკრათ რეველიდამ მოტანილი თეთრი ქვა, მაგრამ ამის მაგიერ ხელმწიფე იმპერატორმა ნიკოლოზმა ინება წყლის ფრის მარმარილოს ქვით შემოსვა და სვეტებისათვის ლურჯი გრანიტის ქვა ეხმარათ. სახურავ ზევით ინება ანგელოზების სახის დადგმა და გარედამ კედლების შემკობა ისტორიული სურათებით. ამ ტაძრის შენება დასრულდა ისტორიაში დაუვიწყარი იმპერატორის ალექსანდრე მეორის დროს და დიდის ამბით კურთხეულ იქმნა 30 მაისს, 1858 წელსა.

ამ სახით იმპერატრიცა ეკატერინესაგან დაწყებული ეკკლესია, გადაკეთებული ალექსანდრე და ნიკოლოზ პირველისაგან, შენდებოდა სწორედ ორმოცი წლის განმავლობაში.

დიდი გასაკვირალი არ არის, რომ ამდენ ხანს და ამისთანა პირებისაგან ნაშენი ტაძარი მშვენიერი და დიდებული იქნეს. მართლადაც დიდებული მორთულობა და ძვირფასი მასალა ეკკლესიის შენობისა ყოველ კაცს გააკვირვებს, რომელზედაც შემდეგ ნომერში მოუთხრობთ მკითხველს.

(გაგრძელება იქნება).

## როდის არის ქვეყანა ბედნიერი?

წარსულ ქვეყნიურ დროთა ბრუნვის მატიანეს თუ თვალს გარდავავლებთ, აწმყოს მხედველობაში მივიღებთ და მომავალსაც წარმოვიდგენთ, მაშინ ცხადად დავინახავთ, რომ ქვეყანა დროთა ბრუნვაში ბედნიერიც არის და უბედურიც. როდის და რომელ შემთხვევაში უნდა ჩავთვალოთ ქვეყანა ბედნიერად? ამის პასუხად ზოგმა ეგებ მოგვიგოს: «ქვეყანა მაშინ არის ბედნიერი, როდესაც პური ბევრი მოვა და ღვინო კისერში ჩასასხმელად გვექნებაო». მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ასე როდია! ქვეყანა მაშინ არის ბედნიერი, როდესაც მასში კაცები სცხოვრებენ. ამაზედ მკითხველმა ეგებ უეცრად კიდევაც გარდაიხარხაროს! და შემდეგ მოგვიგოს: «ქვეყანაზე კაცები ყოველთვის სცხოვრებდნენ, მაშასადამე ქვეყანა ყოველთვის ბედნიერი ყოფილაო.» ამის პასუხისათვის ჩვენ შორს არ წავალთ და ყველასაგან გაგონილს ფაქტს მოვიყვანთ: ერთხელ ფილოსოფოსი დიოგენი გამოვიდა თურმე დღისით, ხელში მოკიდებული სანთელი ეჭირა ფანრით და რაღაცას დაეძებდა; როცა ჰკითხეს: «რას დაეძებო?» დიოგენმა უპასუხა: «კაცსო». ნუ თუ მაშინ კაცები არ სცხოვრებდნენ! სცხოვრებდნენ, მაგრამ მარტო კაცის სახით და სახელით არ ჩაითვლება კაცი კაცად. როგორი კაცებით გახდება ქვეყანა ბედნიერი? ქვეყანა არის ბედნიერი იმ კაცებით, რომელთაც უზენაესი ბუნებისაგან მათდამი მინიჭებული ტალანტი არ ჩაუფლავსთ მიწაში, არამედ შრომით, ღვაწლით და მეცადინეობით აღუფრთოვანებიათ იგი და განწმენდილი გრძნობით გამოაქვსთ საზოგადო ასპარეზზე და საბედნიეროდ მოძმეთა ამოქმედებენ; მოძღვარი,—მოძღვრებით,—მწერალი,—წერით,—მუშაკი,—მუშაობით და შესაფერად სხვანი თავთავის დანიშნულებისა. აი როცა ამ გვარი კაცები ხშირია ქვეყანაზე, მაშინ არის ქვეყანა ბედნიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი, მაშინ ჰყვავის იგი. მაგრამ, სამწუხაროდ ამ გვარ პატიოსან მშრომელთა, ხშირად ხელს უშლის გარყვნილების ნიადაგზე შემუშავებული ტალანტის მქონე პირნი! მათს მოქმედებას და მოღვაწეობას ფრთებს ჰკვეცს და ფართო ნიადაგზე დამყარებულს სივიწროეზე დაიყვანს ხოლმე.

მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ ქვეყანაზე ორი ჯურის ხალხი სცხოვრობს; ერთი-სასარგებლო მოღვაწეობას ეწევა და მეორე-კი ძმათა დაბრკოლების ჩარხებს ატრიალებს. ამ უკანასკნელთა შორის, რასაკვირველია, განვითარებული ტალანტის მქონიც ბევრი არიან, მაგრამ სამწუხაროზე უარესი ის არის, თუ მტერს იარაღი უჭრის და, თუ შამოგკრა, ისე დაგაჩენს, რომ ძნელად თუ გადურჩე. ამ გვარი პირებიც ესეა; როცა ამ გვარი პირები ხალხში უმრავლესობას შეადგენენ, მაშინ ქვეყანა უბედურია მით, რომ ბურთი და მოედანი უმრავლესობას რჩება ყოველთვის. ძლიერებას თავისი გააქვს; მაგრამ რას იზამ! ქვეყანა ამ უკანასკნელ ბოროტთა მოქმედებას ძნელად დაახწევს თავს, როდესაც ამ გვარი პირები შეადგენს უმრავლესობას. ეს რომ ასეა, ამაში წარსული საუკუნოების პირ მოუფერებელი ისტორია გვარწმუნებს პატიოსან მოღვაწეს, ძმათა მოყვარეს, სამშობლოს ერთგულს, კანონის მოყვარეს უკანონობის მოძმეს და პირ-მოუფერებელი ისტორია დიდებით მოიხსენიებს. ხოლო ქვეყნის მოღალატეს, თავისი საკუთარი ინტერესებისათვის ძმათა მჩაგვრელს, კეთილის მოძულეს, ბოროტის მოყვარეს, ერთი სიტყვით, გარყვნილების ნიადაგზე ვისაც დაუმყარებია თვისი ტალანტი, და ხმარობს იმას სიმართლისა და კეთილი საქმის ცელად, ამ გვარ პირებს ისტორია პირ-მოუფერებლად და ზიზღით აღიარებს. ხოლო წამკითხველი ისტორიისა (რომელ დროსაც უნდა იყოს იგი) წყევასა და შეჩვენებას მიუძღვნის საკუთრთხად.

რომ ქვეყანაც ბედნიერი იქნეს და ჩვენც ზიზღით არ მოგვიხსენიოს მომავალმა, ამისათვის არის საჭირო, ჩემის ფიქრით, გონების განვითარება, ესე იგი სწავლის შეძენა. ისეთი სწავლა უნდა შევიძინოთ, რომელმაც ღმერთიც შეგვაყვაროს და მოყვასიც. ასეთი სწავლის მიღება უბრალო წერა-კითხვის მცოდნეთათვისაც ადვილი შესაძლებელია. ბედი ხომ ყველას არ არგუნებს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლაგანათლების დამთავრებას, მაგრამ თუ კაცში სწავლის მიღების ხალისი არის, ის სასწავლებელ გარეც შეიძენს საჭირო სწავლა-განათლებას. ამიტომ წერა-კითხვის მცოდნე პირთ არ შეუძლია თავი იმართლონ იმით, რომ ისინი სასწავლებლებში არ ყოფილან და ეხლა მათთვის შეუძლებელია სწავლის მიღება. ვინც ასე ფიქრობს, ძალიან შემცდარია. რომელი უმაღლესი სასწავლებლები ჰქონდათ გათავებული წარსულ საუკუნოებში მცხოვრებ გამოჩენილ ქართველთ მწერლებს? ნუ თუ ვიცით ჩვენ, რომ მათ უმაღლესი სასწავლებლები არა ჰქონდათ გათავებული, არამედ შინაურულად სწავლობდნენ და თუ რა სწავლა-განათლების მქონენი იყვნენ ისინი, ამას გვიმტკიცებს მათი ტვინის ნაწარმოები. ნუ თუ წარსული საუკუნოების გამოჩენილ ქართველ მწერლებს დიდი საშვალება უწყობდათ ხელს სწავლა-განათლების მისაღებად? ნუ თუ ცხადი არ არის, რომ ისინი შინაურად იყვნენ ნასწავლნი? მაგრამ რომელ ეხლანდელ ქართველს შეუძლია აღიაროს და დაამტკიცოს მათი უსწავლელობა, უნიჭობა და განუვითარებლობა? რით გაიხსნეს იმათ გონების კარი? რით გავარჯიშდნენ ისე, რომ მშვენიერ თხზულებათა წერასაც ახერხებდნენ? ცხადია, რომ უწინდელ ქართველებს სახელ-მძღვანელოდ ჰქონდათ მხოლოდ სამღრთო წერილი და ხელ-ნაწერი ბარათები. ამ რამდენიმე წლის წინეთ მე თვითონ მინახავს, რომ დაბეჭდილ ქართულ სახელ-მძღვანელოების უმქონელობისა გამო ბავშვს ქონდა შეკრული სხვა-და-სხვა პირებისაგან დაწერილი ბარათები, რომელნიც ეწყო პატარა კალათში და მასწავლებელი რიგ-რიგობით აკითხებდა ბავშვს ამ ბარათებს; ამ ბარათების კითხვით ბავშვი ეჩვევოდა წერა-კითხვას. ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ, თუ იმ ბარათებში რა და რა ამბებს შეხვდებოდით. აი ერთი ამ გვარი ბარათის შინაარსი: «ქ. საყვარელო ძმაო ნიკიფორე! რამ გაგადიდკაცა ასე, რომ ჩემსას გამორებასაც აღარ კადრულობ. ხომ გახსომს იორდანეს ბოსტანში რომ ნესვი მოვიპარეთ და იქვე ბოსტნის ღობესთან შევჭამეთ! მგონი, ეხლაც არ აცილებ კბილს და სხვა... ეს მაგალითი იმიტომ მოგვყავს, რომ, თუ ჩვენ დროშიაც ამ გვარი სახელ მძღვანელოებით სარგებლობდენ და სხვა საშვალება არ ჰქონდათ, რასაკვირველია, იმ ძველ ქართველ მწერლებს, რომელთაც მწერლობაში თავი იჩინეს, რაღა უკეთესი საშვალება ექნებოდათ, ნამეტურ სწავლის დასაწყისში; მაგრამ ამ გვარი სწავლის დასაწყისითაც იმათ ისე შეისწავლეს და ისე მტკიცე საფუძველზე დაამყარეს თავისი ნიჭის განვითარება, რომ დღეს ჩვენ დიდებით ვიხსენიებთ იმათ მოღვაწეობას და თაყვანსა ვსცემთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმათ ნიჭს. ნუ თუ დღეს უბრალო წერა-კითხვის-მცოდნეს არ შეუძლია ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა-და-სხვა გამოცემათა საშუალებით განივითაროს თავისი გონება! სად არის გაზეთი, რომ ვიკითხოვო, ამას თუ ვინმე იტყვის, ეს ტყული იქნება. გაზეთიც არის და სხვა ქართული წიგნებიც ბევრია. ვისაც ყიდვა არ შეუძლია, სხვა საშვალებაც არის: სადაც ერთი იწერს გაზეთს, იქ ათსა და ოცს შეუძლია იკითხოს, გაზეთის პატრონი თავის დღეში არ დაუშლის წამკითხველს წაკითხვას. წამკითხველი არასოდეს არ დარჩება უსარგებლოდ. გაზეთში ყველაფერს შეხვდება კაცი: სასიამოვნოს, სამწუხაროს, ბოროტი კაცის განკიცხვას, კეთილი კაცის ქება-დიდებას, დარიგებას, ჭკუის მასალას და სხ. აქედამ კაცი უსათუოდ ქებული კაცის კვალს გაჰყვება, განკიცხულისას გვერდს აუხვევს და სასარგებლო წერილების დედა-აზრს შეითვისებს. ასე ამ გვარად ნელ-ნელა სიბნელის ფარდა აეხდება კაცს და სინათლე იპოვის გზას, რომ სხივები ჩაუშვას სიბნელით მოცულს მის გონებაში. მაგრამ, რამდენი კაცი არის ისეთი, რომელსაც მოცალეობაც ხელს უწყობს და წაკითხვაც შეუძლია! ამათ რომ მიაწოდო რომელიმე გაზეთის ნომერი წასაკითხავად, დარწმუნებული ვარ, არ წაიკითხავენ, მთელ-დღეს კი უქმად და უბრალო ლაზღანდარობაში გაატარებენ! რას იძენს უქმად მოსიარულე და შრომაზედ ხელ აღებული? იმას, რომ ხანდი-ხან ზოგს იმათგანს ცივს ქვეყანაში უნიშნავენ საცხოვრებელ ადგილს. რატომ? ესეც შეძენაა, კაცმა რომ სთქვას! აქ თუ თავიანთის ნებით ვერ ახერხებენ საქმის გაკეთებას, იქ მათ მათდა უნებურად ამუშავებენ.

მთავარ-დიაკვანი რ—ენ. ხ—დაძე.

## სოფ. ოცინდალის წმ. გიორგის ეკკლესია და მისი ისტორიული ნაშთები.

ზუგდიდის მაზრიდგან სამხრეთისკენ, ერთ მაღალ გორაზედ მდებარეობს სოფელი ოცინდალე, რომელიც შემკობილია მშვენიერი ჰავით, ტყეებით და საზოგადოდ ყოველ გვარი მცენარეულობით. ამ სოფელში მარილის და ქვა-გუნდის მადნებიც აღმოჩნდა ამ ბოლო დროს. აქ სცხოვრობს ოცი კომლი გლეხი. სოფლის ერთ ტყიან გორაკზე არის აღშენებული ერთი მშვენიერი ტაძარი. გასაკვირია, რომ ამისთანა მშვენიერი გეგმის ეკკლესია აღუშენებიათ ამისთანა მიუვალ ადგილს. ტაძარი უნდა იყოს აღშენებული იმ დროს, როცა საქართველოს მოსვენებას არ აძლევდენ თათრები და სხვა მტერნი, რომელნიც მეცადინობდენ საქართველოში ქრისტიანობის მოსპობას. ამ შიშიანობის დროს ჩვენი წინაპარნი ეკკლესიებს უმეტესად მიუვალ ტყეებშიდ აღშენებდნენ. ამ ეკკლესიის ეზოში მე ვნახე ერთი ქვა, რომელზედაც შემდეგი წარწერა არის: «ეკკლესია ესე განვაახლე მე ღვთის-მოსავმა თამარ-დედოფალმა». სხვა წარწერა წაშლილია. ამ წარწერისაგან სჩანს, რომ ეს ეკკლესია განუახლებია თამარ-დედოფალს. ეკკლესიის გეგმა მეტად დიდი ყოფილა: ბალავერი თითქმის ერთი ქცევის ოდენ ადგილზე იქმნება ჩაყრილი, მაგრამ შემდეგ გეგმა შეუცვლიათ და ხსენებული ტაძარი აუშენებიათ უწინდელ გაკეთებულ ბალავრის შუა. ეკკლესია არის ნაშენი წმინდა თლილი ქვითა, სიგრძე აქვს 24 ადლი, სიგანე 15 და სიმაღლე 18 ადლი. ტაძრის თაღი ქვით არის შეკრული. შიგნით ეკკლესიის კედლები მთლად დახატულნი არიან. ტაძარს დასავლეთის მხრით მიშენებული აქვს საქალებო, რომელიც იყოფება ტაძრისაგან ქვითკირის კედლით. საქალებო ცემენტით არის მთლად ნაშენი; საქალებოს ქვეშ გაკეთებულია სასაფლაო (აკალდამა).

ამ ტაძარში ბევრი შესანიშნავი ნივთები ყოფილა უწინ და ზოგნი დღესაც არიან. აქ ყოფილა უწინ, სხვათა შორის, ერთი დიდი სპილენძის სასანთლე. ეს სასანთლე უნახავს თუ არა მეგრელიის უწინდელს ეპისკოპოსს, განსვენებულს ანტონის, მაშინვე უბრძანებია ამ სასანთლის დაშლა, რადგან ეს სასანთლე ყოვლად სამღვდელოს სიტყვით კერპთ-თაყვანის მცემლობის დროისა ყოფილა. ტაძარში არის წმ. გიორგის ერთი ხატი, სრულის ტანისა; ხატი არის გაკეთებული ვერცხლისაგან და მოოქვრილია. ხატში ჩაჯენილია თორმეტი სხვა-და-სხვა ძვირფასი თვლები; ტაძარში არის ვერცხლის ერთი დიდი ჯვარი, რომელსაც წინა პირი ოქროსი აქვს და შემკობილია ძვირფასი ალმასის თვლებითა. ეკკლესიაში არის თვრამეტი ოქრო, ზოგი თეთრი აბაზიანის ოდენა და ზოგი მეტი; აქვე ჰყრია ურიცხვი მშვილდ-ისრები.

ამ ეკკლესიაზედ დიდძალი ხალხი დადის სხვა-და-სხვა სოფლებიდამ სალოცავად და თან ბევრ შესაწირავსაც სწირავენ ეკკლესიას. რადგან ეს ტაძარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღშენებულია, ძალიან მაღალ სერზე რომელზე ასვლა ძალიან უძნელდებათ მლოცველებს, ამიტომ ადგილობითმა ბლაღოჩინმა ანჯაფარიძემ, თანახმად უწმიდესი სინოდის განჩინებისა, ამ ეკკლესიის წმ. გიორგის ხატი ჩამოასვენა ს. თაიას ორ შტატოვან წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც დღეს ხალხი ბლომად დაიარება ამ ხატის თაყვანის საცემლად.

ოცინდალის ეკკლესიის ეზოში არის აღშენებული ერთი დიდი კოშკი, რომელშიაც ბლომად ჰყრია კაცის ძვლები. კოშკის თავზე დღესაც ხარობს ერთი დიდი ხე, რომელიც ალბად კოშკის აღშენების შემდეგ ამოსულა მასზე. ამ ტაძარს ბევრი ადგილ-მამულები ჰქონდა უწინდელ დროში, მაგრამ დღეს ზოგიერთი თავადების და აზნაურების მძლავრობით ეკკლესიას მხოლოდ ათი ქცევა ადგილი თუ ექნება, თორემ დანაშთენი მამულები ეკკლესიისათვის სრულებით ჩამოურთმევიათ. დღეს ეს ეკკლესია, რომელიც ძველ დროში ნავთ-საყუდელი იყო სამეგრელოის ეკკლესიების ძვირფასი ნივთებისა (1856 წელში სამეგრელოის ყველა ეკკლესიების ძვირფასი ხატები ამ ეკკლესიაში იყო შენახული) მიყრუებული და მოკლებულია ჯეროვან ყურადღების მიქცევას.

სასურველია, რომ ამ ადგილს აშენდეს უდაბნო, სადაც რამდენიმე ძმათა შეეძლოთ ცხოვრება. ბერებს, ჩემის აზრით, დიდი ზედ გავლენა ექნებათ ახლომახლო მცხოვრებლების სარწმუნოებაზე და ზნე-ჩვეულებაზე.

სამსონ თოდუა.

---

## ორდუბათიდგან.

23 აგვისტოს, კვირას, საღამოს რვა საათზე ცეცხლი გაჩნდა შუა ბაზარში. პირველად ცეცხლი გაჩნდა ერთ ჩაის-სასმელ ოთახში, სადაც ბუხრის მილიდგან ამოსული ნაპერწკალი მოჰკიდებოდა ჭერს. ცეცხლი მალე გაძლიერდა და მოედო ორ ბაზარს, სადაც საქონლით სავსე დუქნები ბლომად არის. ერთბაშად ცეცხლი ეკიდებოდა დუქნებს 30 საჟენის სიგრძეზე და 15 საჟენის სიგანეზე. ყველა დუქნებს ცეცხლი სახურავიდგან უჩნდებოდა. ცეცხლის საქრობი მაშინა არა თუ ორდუბათელებს, დიდი ქალაქის მცხოვრებთაც არ ეშოვებათ და საწყალ ორდუბათელებს დაეჭდოთ ხელები და გულსაკლავად უცქეროდენ ცეცხლსა, რომელიც შეუბრალებლად ედებოდა დუქნებს. ხან-დის-ხან ზოგიერთები დიდ ქვებს ესროდენ ხოლმე ცეცხლს, ეს ქვები ხშირად დუქნებში ხვდებოდა თოფის-წამლით ან ნავთით სავსე ბოჭკებს; ბოჭკები სკდებოდენ და მათში შენახული ნივთიერებანი კიდევ უფრო აძლიერებდენ უმისოთაც გაძლიერებულს ცეცხლსა. ასე სწრაფად ცეცხლის გაძლიერების მიზეზი იყო ქარი, რომელიც ცეცხლის გაჩენისათანავე ამოვარდა და დაუწყო ბერვა.

ცეცხლის მოკიდება პირველად თათრებმა გაიგეს და შეჰნეს ყვირილი: «მოდით, გვიშველეთ ბაზარი იწვება». ყვირილზედ მოირბინა ხალხმა. ადგილობრივმა მღვდელმა ბ. ჩალაძემ გაგზავნა კაცი ზარების დასარეკათ. ზარების ხმაზე მოვარდა ადგილობითი კომანდა. ჯარი, რითაც კი შეეძლო მას, მარჯვედ შეუდგა ცეცხლის გაქრობას. ოთხ-ხუთ ადგილას ცეცხლს გზა შაუკრეს, თორემ აბრეშუმის ძაფის სახვევ ქარხანას რომ მოდებოდა ცეცხლი, მაშინ მთელი ორდუბათი გადიწოდა. ბოლოს პოლიციის წარმომადგენლებიც მოვიდენ და თან მოიტანეს წერაქვები, ლომები და სხვანი, მაგრამ გვიანღა იყო. დიდი მადლობის ღირსნი არიან აქაური ჯარის უფროსნი, ბბ. ფეოდოროვი და პრივალოვი, რომელნიც მუდამ სალდათებს წინ მიუძღოდენ და ყოველ საშუალებას ხმარობდენ ცეცხლის გასაქრობად. სალდათები ისე გამეტებულად ებრძოდენ ცეცხლსა, რომ ზოგიერთნი კინაღამ არ გამოესალმენ სიცოცხლეს. ცეცხლი ეკიდებოდა სულ ორი საათი და ამ ორი საათის განმავლობაში, როგორც პოლიციის შემოწმებიდგან სჩანს, გადაიწვა 155 დუქანი და სხვები, რაც მიანგრ-მოანგრიეს, კიდევ სხვა არის. ზარალი მეტად დიდია. მეორე დღეს მობრძანდა მაზრის უფროსი და დიდი მადლობა გამოუცხადა პოლიციას...

საჭიროა, რომ ზოგიერთ დაზიანებულ პირთა რამე შემწეობა აღმოუჩინოს საზოგადოებამ და მთავრობამაც, თორემ მცხოვრებთ უმეტეს ნაწილს სულის მეტი აღარა დარჩენიათ-რა ცეცხლისაგან.

რაჟდენ აფციაური.



სოფიის ძველი ტაძარი კონსტანტინეპოლში, რომელიც დღეს მეჩითად არის გადაკეთებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გელათის მონასტერი.

(გაგრძელება). *)

ტაძრის კედლებზე და სვეტებზე, რომელზედაც დამაგრებულია თაღი, დახატულნი არიან წმ. მოწამენი ორივე სქესისა, აქვე დახატულნი არიან იმერეთის ქათალიკოსი ზაქარია და მეფე ალექსანდრე, რომელნიც სცხოვრებდნენ მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარში. ამ ტაძრის კედლის მხატვრობა მაინც-და-მაინც მალიან შესანიშნავი არ არის. ასეთ მხატვრობას საქართველოს ყველა ძველ ტაძრებში შეხვდება კაცი. მაგრამ ტაძრის აღშენების დროის მოზაიკური გამოხატულება ღვთის მშობლისა საკურთხევლის თაღზე, კანკელის ზემოდამ, წარმოგვიდგენს უმშვენიერეს ნამუშს საშუალო საუკუნოების მოზაიკურ მხატვრობისას, რომელიც დღეს 4—8 ადგილას თუ არის დაცული მთელს საქრისტიანოში, თორემ სხვაგან არსად. ამ გამოხატულებაში თვით ნამდვილი სურათი მეტის მეტი სინამდვილით და ხელოვნებით არის გაკეთებული ქვებით და მასთან დაცულია თვით უმაღლესი თვისება საგნისა. ღვთის მშობელი გამოხატულია ოქროს მანდორზე, სადაც ის სდგას ჯვრის ფერ მიწაზე; მას ოდნათ უკიდნია ხელი თავის მწვანე სახურავისთვის, რომელზედაც ზის მისი ღვთაებრივი ძე, რომელიც ერთი ხელით იძლევა კურთხევას, ხოლო მეორე ხელში უკავია გრაგნილი. ოქროს ფონი ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლის სახურავისა ხელოვნურად ხატავს ტანთ-საცმლის ელვარებას. ეს სამოსელი უწევს თვით ღვთის-მშობლის ფეხზამდის და მოსავს მის მშვენიერ ტანადობას. გაბრიელ და მიხაილ მთავარ-ანგელოზნი მუხლ-მოდრეკილნი სდგანან იქით-აქეთ და ტანთ აცვიათ მტრედის ფერი სამთავრო კვართი ნიშნად თავიანთი სამსახურისა; ჯვარის ფრად შემორტყმული აქვსთ გინგილები, რომელნიც მორთულნი არიან მძვირფასის ქვებით; თეთრი ფრთების ბოლოები ბრწყინავენ ცისარტყელას მსგავსი ფერით, ხოლო ხელებში უკავიათ ბრწყინვალე რგოლები; ამ რგოლებში ჩარიგულის ხელით სწერია: ი. ს. ქს., რომელიც ერთხელ თვით თავარ-ანგელოზმა ახარა ქალწულს.

გაენათის უმთავრესი ტაძრის კანკელი ორ-ეტაჟიანია და გაკეთებულია თეთრი თლილი ქვისაგან. კანკელი გაკეთებულია პირ-და-პირ შესანიშნავი ხატებისა: 1) ხატი მაცხოვრისა, რომელსაც სიმაღლე აქვს ერთი ადლი და თუთხმეტი გოჯი, სიგანე ერთი ადლი და 7 გოჯი, დახატულია დიდის სახით მთელს ფიცარზე ბიზანტიურ გემოვნებაზე; მაცხოვარს აცვია ვერცხლის სამოსელი, რომელიც მოოქრილია; თავზე ახურავს მრგვალი გვირგვინი, რომელზედაც სამი წითელი მრგვალი ქვაა გაკეთებული, ერთ ამ ქვაზე არის წარწერა.

2) იმავე სახის მაცხოვრის ხატი, რომელიც დახატულია ფიცარზე და შემოვლებული აქვს ოქროს ქობა.

3) ხახულისა ღვთის-მშობლის ხატი. ეს ხატი ჩასმულია განიერ ოქროს არშიაში, რომელსაც ზემოდამა აქვს განიერი ვერცხლის მოჭედილობა; ხატი მორთულია მარგალიტებით, დიდროანი მძვირფასი ქვებით და ანგელოზების, წმიდანების და მახარებელთა შეუდარებელი მინანქრიანი გამოხატულებით. ხატზე არის სამი ზედ-წარწერა. პირველი წარწერა არის დაწერილი ლექსად ძველ ქართულ ენაზე, რომელშიაც თამარი ჯერ მიიქცევა ღვთისა, საუკუნომის დაყოვლად წმიდა ქალწულისადმი და შემდეგ ამბობს, რომ ის სწირავს ხახულისა ღვთის მშობლის ხატს ხალიფის ბაირაღს მდიდრული გულ-საკიდით, რომელიც მისმა მეუღლემ დავით სოსლანმა წაართვა სულთანს და ათაბეგს (ამუბეკირ ხვარასანსკის) შამხორის ჩხუბის დროს 1203 წელში; მეორე წარწერაში თამარი ახსენებს ღვთის მშობელს თავის ნათესაობას მეფის და წინასწარმეტყველის დავითის შთამამავლობისა მებრ. ამავე ნათესაობაზე, როგორც მოწმობს ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე, არის ლაპარაკი მესამე წარწერაშიაც, რომელიც დაუწერია დავით I, როდესაც მას ეს ხატი მოურთავს. აი ეს ლექსი:

ცათა შემქმნელო, ღვთაებავ დაუსაბამო,
ძეო, მყოფო დაუსაბამო და საუკუნო,
სულო წმიდაო, შემქნელო ყოვლისა არა რაისაგან.
სამებაო, სრულო ერთ ღვთაებასა შინა!
შეჰქმენ რა მიწისაგან პირველად კაცი,
შენ განაგე მიწადვე მიქცევა ურჩ ქმნილისა,
როდესაც იგი მიზიდულ იქმნა უკვდავებისაგან სიკვდილ.
შობილმან შენგან ღირს გვყო განახლებად,
ბნელისაგან განათლებად და ნათლითა განგვაბრწყინა,
თვით იენო ჩვენთვის და განკურნა ჩვენი ვნებანი,
შენგან სიტყვით შობილი, ჰოი, ქალწულო, რომელზედაცა დავითი
მხიარულ იყო, წინახედვიდა რა ძესა ღვთისასა შენ ძედ.
შენ მე, თამარი,—შენი მტვერი აწ და მარადის,
ღირს მყავ ცხებად და შენთვის ალრჩეულად
ზეცასა მდემსა შინა!—მე, უკვე სამხრეთისა და ჩრდილოეთისკენ,
მფლობელი, მოგიძღვნი შენ ძღვნად
ხალიფის დროშასა და ფარღულსა.

---

*) იხ. «მწყემსი»-ს № 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითი მსროლელი მსგავსად ეფრემის შვილთა,
ალიქურვა და დასცა სულთანი ათაბაგისთანა,
ირანში აღგომის დროს მათზედა,
მხედრობათა ჩვენთა, შენზედ მსასოებელთა, ქალწულო,
შემუსრეს და მოსრნეს აგარიანნი,
ამათი ზანაკიდამ დოვლათის ამ ნაწილს
შენ ძღვნად მოგართმევ, ევედრე ჩემთვის ღმერთსა და ძესა შენსა.
დედოფალო ყოვლად პატიოსანო, განგებულებითა მაღლისათა,
ქალწულებრივითა სისხლითა შენითა საიდუმლოდ ძისა ღვთისა ჩამსახველო
და მშობელო გამოსახსნელად კაცთა! —
შენ, განმამშვენებელო, განმაშვენე და მადიდებელო მადიდე მე,
თამარი, სახელოვანი თესლისაგან დავითისა:
ამისათვის მე აწ ვისურვე შემკობა ხატისა შენისა
დიდისა ძითურთ, დაგვიფარე დედა ძითურთ.

ყველა იმ ძვირფას ქვებზე, რომელნიც დღეს ამ ხატზე მოიპოვებიან, უდიდესი და უძვირფასესი იყო ერთი ქვა, რომელსაც კედლას ეძახოდნენ. ეს ხატი 1859 წელში მოიტაცეს და გაჰქურდეს აჯაზაკებმა. ეს ძვირფასი ქვა შეწირული იყო თამარისაგან. ზეპირი გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ეს ხატი დახატულია წმ. მახარობლის ლუკასაგანო.

4) აწყვერის ღვთის მშობლის ხატი. ეს ხატი ხახულისა ღვთის მშობლის ხატის მარცხნივ არის ჩაკვენილი კანკელში. აწყვერის ღვთის მშობელი თავისი ისტორიული მნიშვნელობით და სიმდიდრით ვერ შეედრება პირველს, თუმც მასაც აქვს ოქროს სამოსელი და მინანქრიანი მხატვრობანი.

5) გაენათის ღვთის მშობლის ხატი. ეს ხატი გაკეთებულია მოოქრვილი ვერცხლისაგან. ხატი ძალიან ძველი დროისაა და მის მორთვაზე უშრომიათ იმერეთის ბევრ მეფეებს.

6) მლოცვარე ღვთის მშობლის ხატი საუკუნოთი. ეს ხატი დახატულია ფიცარზე, რომელსაც სიმაღლე აქვს ორი ადლი და 11 გოჯი და სიგანე—1 ადლი და 12 გოჯი. აქვს ვერცხლის შესამოსი. ამ ხატზე გამოხატულნი არიან წინასწარმეტყველნი, 12 მოციქულნი და სხვა წმიდანი. მარცხენა მხარეზე გამოხატულია მეფე ბაგრატ-კურატი მუხლ მოდრეკილი, ხელები აშვერილი აქვს ღვთის მშობლის ფერხამდე და ევედრება მას.

7) ორი ხატი მაცხოვრისა, რომლებზედაც არის წარწერანი ბერძნულს ენაზე. ამ ხატებში ერთი, როგორც სჩანს წარწერისაგან, მოურთავს XIII საუკუნეში დავით-ნარინს, ძეს რუსუდანისას, რომელიც იყო ქალი შესანიშნავი თამარისა.

## კონსტანტინე ქრისტეფორეს ძის მამაცაშვილის ორმოცდა-ათი წლის იუბილეი.

5 სეკტემბერს ამა 1887 წლისა შესრულდა სწორედ ორმოცდა-ათი წელიწადი, რაც ყველასაგან პატივცემული ჯენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი მსახურებს სამხედრო წოდებაში ოფიცრის ჩინითა.

ჩვენში დღეს ძლიერ მცირე რიცხვია იმისთანა პირთა, რომელნიც გარეშე თავის წოდებისა და უწყებისა შესანიშნავნი და საყვარელნი იყონ მთელი საზოგადოებისაგან. ამ მცირე ნაწილთა შორის პატივცემულ კონსტანტინე ქრისტეფორეს ძეს მამაცაშვილს სწორედ პირველი ადგილი უკავია. იგი ერთნაირად პატივცემული და საყვარელი მამულის შვილია როგორც სამხედრო წოდებისათვის, ისეთვე საერო და სასულიერო წოდებათათვისაც. მისი კეთილ-კაცობა, მისი ხასიათი და მამულიშვილობა ცხადათ არის გამოთქმული იმ სიტყვებში, რომელნიც მას უთხრეს ხუთს ამ თვეს. მოგვყავს ამ სიტყვებიდამ ზოგიერთი ადგილები, რომლებიდგან მკითხველი შეადგენს ჯეროვან აზრს იუბილიარის ღირსებაზე.

სიტყვა გორის მაზრის წინამძღოლისა:

თქვენო აღმატებულებავ! ყოვლად პატივცემულო და ძვირფასო კონსტანტინე ქრისტოფორეს ძევ!

ორმოცდა-ათი წლის დაუცხრომელი, გულმხურვალე და ნაყოფიერი სამსახური თქვენი მრავალგვარი და დიდად ძვირფასია ქართველთა საზოგადოების წინაშე. რადგანაც დროება ნებას არ გვაძლევს, რომ ყოველივე თქვენი ღვაწლი ვრცლად მოვიხსენიოთ ღირსებისამებრ, ამისათვის მცირეს ვიტყვით, მაგრამ ეს მცირეც საკმაო იქნება, რომ ყოველმა ამის წამკითხველმა და გამგონმა ჯეროვანად დააფასოს თქვენი ნაჭირნახულევი:

ა) ჯერ პირველად მოვიგონებთ იმ დროს, როდესაც ბატონ-ყმობა უნდა მოსპობილიყო ჩვენს ქვეყანაში. თქვენ იმ დროს ბრძანდებოდით იმ იშვიათ პირთაგანი, რომელნიც თანაუგრძნობდნენ გასანთავისუფლებელს გლეხთა ინტერესებსა და ჰქადაგებდნენ იმისთანა განთავისუფლებას, რომელიც უფრო სამართლიანი მაშინაც იყო და შემდეგშიაც ისეთივე აღმოჩნდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ვინ არა გრძნობს და ვინ არ იტყვის, რამდენს ღონის-ძიებას ხმარობთ მოსაპოვებლად სახსრისა ნივთიერისა და სულიერის წარმატებისათვის თავად-აზნაურთა სკოლისა;

გ) მიუხედველად თქვენის მოხუცებულობისა, თქვენ არა მცირედი ღვაწლი მიგიძღვით თავად აზნაურთა ბანკის წინაშე, რომელსაც რამდენიმე წელიწადი ნაყოფიერად ემსახურეთ;

დ) სოფლის მუშა ხალხიც არ დარჩა თქვენგან უყურადღებოდ. აი, მაგალითად: თქვენის დაწყებით და შემწეობით გაიმართა სოფელს რუისში გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა, სკოლა და სკოლასთან თქვენის უხვის შეწირულობით და მეცადინეობით დაფუძნდა სახალხო წიგნთ-საცავი და საკითხავი.

ყოველს თქვენს ამგვარს კეთილს მოღვაწეობას გრძნობენ არა მხოლოდ თავად-აზნაურნი, არამედ ყოველნი ქართველნი განურჩევლად წოდებისა, ღირსებისა და ჩამომავლობისა, და ამისათვის ყველა თქვენი თანამემამულე წმინდის გულით შესთხოვს ღმერთს თქვენს მრავალ-ჟამიერ სიცოცხლეს ჩვენის ქვეყნის სასარგებლოდ.

დავშთები თქვენის აღმატებულების
ერთგული, გორის მაზრის თავად-
აზნაურთა წინამძღოლი
ივანე დავითის ძე სულხანოვი.

---

შემდეგ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელთ მიართვეს ადრესი და თან ერთი ალბომიც. ალბომის გვირგვინზე აწერია: 1837—1887. 5 სექტემბერს. თვით ალბომის ვერცხლის სალტაზედ შემდეგი ზედწარწერაა: «ღირსად-სახსოვარს კ. ქ. მამაცაშვილს სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელთაგან».

აი ეს ადრესიც:

ყველასაგან დიდად პატივცემულო და ძვირფასო კონსტანტინე ქრისტეფორეს ძევ!

„დღეს შესრულდა ორმოცდა-ათი წელი მას აქედ, რაც თქვენ სამხედრო სამსახური დაგიწყიათ. ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში მუდამ სახელოვანად ასრულებდით თქვენს მოვალეობას. თქვენი შრომის-მოყვარეობა, ბეჯითობა სამსახურში და მამაცობა ბრძოლის ველზედ ყველასათვის ცნობილია, ვისაც თქვენთან უმსახურნია. ყველანი განურჩევლად ხალხოსნობისა და სარწმუნოებისა, ვისაც-კი გაუგონია თქვენი სახელი და სმენია თქვენნი საქმენი,— ყველანი დიდის პატივისცემით და სიყვარულით მოიხსენებენ კეთილს და პატიოსანს კონსტანტინე ქრისტოფორეს ძეს. ამისათვის ყველასათვის სასიამოვნო უნდა იყოს დღევანდელის დღის მიგებება და თქვენდამი თანაგრძნობის გამოცხადება. ჩვენც, მასწავლებელნი და აღმზრდელნი ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლისა ალტაცებით გეგებებით და გილოცავთ ამ დღეს თქვენის 50-ის წლის იუბილეისას. მით უფრო ღირსშესანიშნავად მიგვაჩნია თქვენი ხანგრძლივი სამსახური, რომ თქვენ მარტო იმ შრომას-კი არ ეწეოდით პატიოსნად, რომელსაც ვალად გდებდათ პირდაპირი თანამდებობა, არამედ იმავ დროს თქვენ იყავით პატიოსანი და თავ-გამოდებული მოღვაწე ქართველის საზოგადოებისათვის. ყოველს საქმეს, ყოველს კითხვას, რომელსაც მიზნად ჰქონდა ჩვენის საზოგადოების წარმატება მატერიალურად თუ გონებითად, თქვენ თანაგრძნობას უცხადებდით, ყოველთვის სიტყვით და საქმით ხელს უწყობდით მას. მსურველი ქართველ წარმატებისა თქვენ არასოდეს უკან არ ჩამორჩენილხართ დროთა მსვლელობას, არამედ წინ უძღოდით ყოველთვის. ფრიად თვალსაჩინო მაგალითს თქვენის საზოგადოებრივის მოღვაწეობისას წარმოგვიდგენს ჩვენი სასწავლებელი, რომელიც დაფუძნდა და გაიზარდა პროგიმნაზიის ოთხს კლასამდის თქვენის მეცადინეობით და დაუღალავის შრომით. აგერ ცხრა წელიწადია, რაც ამ სასწავლებლის საქმეებს განაგებთ. თქვენმა მამობრივმა მზრუნველობამ მიიზიდა ამ სასწავლებელში სამასამდის ძრიელ ღარიბი თავად-აზნაური, რომლებიც სრულიად მოკლებულნი იქმნებოდნენ სწავლის შუქსა, რომ თქვენის გავლენით და შემწეობით ეს სასწავლებელი არ აღორძინებულიყო. ამ სასწავლებელში ერთად ღარიბებთან თავი შეიფარა და ცოცხლობს ბევრისაგან მოძულებული ჩვენი სამშობლო ენაც. ამ ჟამად, როდესაც სწავლის მოსაპოვებელი გზა უფრო გაძნელდა და ღარიბთ კარები დაეხშოთ განათლებისა, ჩვენს სასწავლებელს ერთი-ორად მეტი მნიშვნელობა ეძლევა და ამისათვის სასურველია, რომ კვლავაც არ მოაკლდეს მას თქვენი ყურადღება და მფარველობა. ვისურვებთ თქვენთვის ჯანმრთელად სიცოცხლეს მრავალ ჟამიერ! ღმერთმა ინებოს, რომ თქვენს მაგალითს ბევრი წამბაძველი გამოეწვიოს ჩვენის დაცემულის საზოგადოებისაგან, რომლის წარმატებისათვის თქვენ ილვწოდით ასე თავ-განწირულად“. («ივერია»).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მომაკვდავი გლეხი.

სიბერით მისუსტებული
ერთი გლეხ-კაცი კვდებოდა
და თავის შვილსა, გიორგის,
ამ სიტყვებს ეუბნებოდა:

„შვილო, ვგრძნობ, მალე მოვკვდები:
თვალები მიბნელდებაო,
გული საშინლად მეხუთვის
და სულიც მიწუხდებაო.

შვილო, გიორგი! აქ მოდი,
მსურს მოგცე დარიგებაო;
ის შეასრულე, რაც გითხრა,
თავი ნუ მოგიკვდებაო.

შენც იცი, შვილო გიორგი,
რომ ბევრი ოფლი ვღვარეო,
პურის ლუკმისა შოვნისთვის
დღეც ბევრი ვნახე მწარეო,

გულით მიყვარდა სიმართლე,
სინდისი, პატიოსნება,
სიცრუეს მარად ვსდევნიდი
და მძულდა ამპარტავნება.

შემძლებისა და გვარადა
ვშველოდი გაჭირვებულსა;
იცოდე, შველა სჭირდება
ბედით დღე-გამწარებულსა.

სხვისი არა რა მინდოდა,
არ მქონდა გულში შხამია,
თუმც სიხარულით მე საწყალს
ლუკმაც არ შემიჭამია.

შვილო, იმედით ვცხოვრობდი,
იმედით ვსჭამდი პურსაო.
იმედი ხშირად ამხნევებს
საწყალს და უბედურსაო.

ბოლოს კი მივხვდი მეც, შვილო,
თუ რად მჩაგრავდა ცხოვრება:
რადგან არ მქონდა ბედ-კრულსა
მცირე ოდენი სწავლაო.

ძალიან ვდარდობ, რომ შენცა
დაგტოვე უსწავლელია,
შენი ბედიცა იქნება
ჩემი ბედივით მწველია.

მაგრამ არ შედრკე, იშრომე,
განაგდე ზარმაცობაო,
გულით გიყვარდეს სიმართლე
და გძულდეს ბოროტებაო.

წირვა და ლოცვა გიყვარდეს,
გახსოვდეს მაცხოვარიო,
იგი ჩვენს გამოსახსნელად
ჯვარზედა არის მკვდარიო.

ეცადე, შენსა შვილებსა
ასწავლო ანა-ბანაო;
სწავლა დაიხსნის ყოველ კაცს
ამ ქვეყნის საფრთხისაგანო.

თუ გინდ კიდეცა გაწამონ,
ბედითაც გახდე კრულია,
შვილო, შენ მაინც იყავი
სინდისის მოყვარულია!

რითიც შეგეძლოს, უშველე
შენს გაჭირვებულს ძმასაო:
ღმერთიც შენ მაშინ გიშველის,
მოგფენს თვისს წყალობასაო.

ის შეასრულე, რაც გითხარ,
შვილო, შენ გენაცვალეო,
მე კი გშორდები, მივდივარ,
თვალებს დავხუჭავ მალეო.

მშვიდობით! ღმერთმა გიმართოს
ხელი ამ ცხოვრებაშიო;
მე კი სამუდმოდ ჩავსწვები
შავ-ბნელსა სამარეშიო!“

ეს სთქვა და გლეხმა დახუჭა
თვის ცრემლიანი თვალები.
მისს შვილმა, იქვე მჯდომარემ,
დასთხაა ცხარე ცრემლები.

ილ. ფერაძე.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

ამ მოკლე ხანში უწმიდესმა სინოდმა განმარტა ერთი საეჭვო კითხვა. დღემდის კარგად განმარტებული არ იყო, თუ ვისი საქმე იყო იმ დაქორწინებულ პირთა გაყრა, რომელთა ჯვარის წერა შესრულებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქმნა ლიუტერანთა ეკკლესიაში, მაგრამ შემდეგ ორივე დაქორწინებულთა პირთა ან რომელიმე მათგანმა მიიღო მართლ-მადიდებელი აღსარება. როდესაც დაქორწინებულ პირთა შორის ერთი რომელიმე ეკუთვნის მართლ-მადიდებელ აღსარებას, მაშინ კანონით მეუღლეთა გაყრის საქმე ექვემდებარება მართლ-მადიდებელი ეკკლესიის გარდაწყვეტილებას. იმ წესდებაებში, რომელნიც გამოცემულ იქმნენ 1836 წ. პოლშის სამეფო მცხოვრებთათვის როდესაც ნეფე-დედოფალი სხვა-და-სხვა აღსარებისანი არიან, პირ-და-პირ არის ნათქვამი, რომ იმ ქორწინების გაყრის საქმე, როდესაც მართლ-მადიდებელს შეურთავს სხვა აღსარების პირი, უნდა სწარმოებდეს იმპერიის საზოგადო კანონების თანახმად. უწმიდეს სინოდს უხელ-მძღვანილებია ამ კანონებით და განუმარტებია ეპარქიის მღვდელ-მთავრებისათვის შემდეგი: ყველა საქმეები იმ ქორწინებათა გაყრის შესახებ, რომლებიც თუმც უწინ სხვა აღსარების წესისამებრ ყოფილან შესრულებულნი, მაგრამ შემდეგ თუ ორივე დაქორწინებულთ ანუ ერთ რომელიმე მათგანს მიუღია მართლ-მადიდებლობა, ექვემდებარებიან მართლ-მადიდებელი ეკკლესიის სამსაჯულოსო.

* *
*

ამას წინად ერთ სათემო შეკრებილებას სოფლის ერთი მღვდელი აღურჩევია საგლეხო საქმეების მწარმოებელ წევრთა კანდიდატათ. მაგრამ უწმიდეს სინოდს ეს აღრჩევა უკანონოდ უცვნია. მასთან უწ. სინოდს განუმარტებია, რომ ეკკლესიის მოსამსახურეთ არ შეშვენისთ ასეთ მოვალეობათა მიღება თავის თავზედ.

* *
*

გამოვიდა უწმიდესი სინოდის უქაზი, რომლის ძალით ეპარქიალურ საქალებო სასწავლებლების პირველ კლასში ათ წელზე ნაკლები ყმაწვილების მიღება აღკრძალულია.

* *
*

უწმიდესის სინოდის უქაზით დღეიდგან ის დადგენილობანი, რომელნიც აქამომდე მართო სემინარიაში კურს შესრულებულ პირთა შეეხებოდნენ, გავრცელებულ უნდა იქმნენ ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებიდგან და სემინარიებიდგან დათხოვნილ მოწაფეებზედაც. დღეის იქით ამ სასწავლებლიდამ დათხოვნილნი მოწაფენი, სანამ ისინი არ გამოირიცხებიან სასულიერო წოდებისაგან, ან სანამ სხვა სასწავლებელში არ შევლენ, უნდა ირიცხებოდენ სასულიერო უწყებაში და მათ უნდა ჰქონდესთ სასულიერო კანსისტორიებიდგან მიცემული პასპორტები. ეს პირნი შეიძლება დანიშნულ იქმნენ ეპარქიალურ სამსახურში, ხოლო იმ მოწაფეთ, რომელნიც სახელმწიფო ხარჯით იზრდებოდნენ, უნდა გადახდეს ის, რაც მათ შენახვაზედ დაიხარჯა სემინარიაში.

**
*

ახალი ათონის მონასტრის ძმათა საცდელად გაუშენებიათ, ზეთის-ხილის მცენარე, რომელსაც ძალიან უვარგნია. მონასტრის ძმათა წინადადება მიეცათ, რომ მათ იმდენად გააუმჯობესონ ამ მცენარის გაშენება, რომ აქ გამოხდილ ზეითუნის ზეთი ჰყოფნიდეს რუსეთის ყველა მართლ-მადიდებელ ეკკლესიებს. თუ ეს მოხდა, მაშინ ჩვენი ეკკლესიები აცდებიან ყალბი ზეთის ხმარებას.

**
*

რუსეთის ელჩს კონსტანტინეპოლში თავისი მეცადინეობით დაუთანხმებია ათონის ივერიის მონასტრის ბერძნის ზოგიერთი ბერები. დღეიდგან ამ მონასტერში თავისუფლად შეეძლებათ შესვლა და ცხოვრება რუსეთის ყველა ქვეშევრდომთა. ახალ-ივერიის წმ. იოანნე ღვთის-მეტყველის უდაბნოს ენიჭება ახალი უფლება. დღეიდგან ამ უდაბნოის ბერები დამოუკიდებელნი იქმნებიან.

**
*

ახალ-ათონის პანტელეიმონის მონასტერში, ამაღლების ეკკლესიაში მწუხრის დროს გაჩენილა ცეცხლი, რომელიც მოსდებია მონასტრის უმეტეს ნაწილს. მალე ცეცხლი მოჰკიდებია ღვთის მშობლის მფარველობის სახელზე აღშენებულ ტაძარს. თუმცა ბერები ბევრს სცდილან, ტაძარი გადაერჩინათ ცეცხლისაგან, მაგრამ ცეცხლს მაინც უმსხვერპლია ეს ტაძარი. მონასტრის ძმათა მეცადინეობით ამ ტაძრიდამ გადაურჩენიათ წმიდათა ნაწილები, უძვირფასესი ნივთები და კანკელის ნაწილი. ცეცხლი თან-და-თან გაძლიერებულა და მოსდებია მახლობელ ტაძრებს და სახელდობრ: ალექსანდრე ნეველის, ღირს-შემოსილ გერასიმე და იერონიმეს, წმიდათა თავარ-ანგელოზთა, მეფე კონსტანტინე და ელენეს ეკკლესიებს. მთლად დამწვარა ეს ექვსი ეკკლესია. სტუმრების მისაღები ზალები ბევრი წყლის სხმით გადურჩენიათ. მონასტრის ძმათა საცხოვრებელი ოთახები იმდენად დასველებულა წყლითა, რომ დღეს თურმე ამ ოთახებში ცხოვრება არ შეიძლება. გარდა ექვსი ეკკლესიისა დამწვარა სამოცდა ათი საცხოვრებელი სენაკი პანტელეიმონის მონასტრის მონაზონთა. როგორც ამბობენ, ზარალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

200,000 მ. ადის თურმე. ჯერ კიდევ არავინ იცის ცეცხლის გაჩენის მიზეზი. ამ სამწუხარო შემთხვევას მეტად დაუღონებია და სასო-წარკვეთილებაში ჩაუგდია პანტელეიმონის მონასტრის ბერ-მონაზონნი.

***

გაზეთი «ახალი მიმოხილვა» გვაუწყებს, რომ ექვს სეკტემბერს პეტერბურგიდამ კავკასიაში წამობრძანებულა თავი მოსამართლე (МИНИСТРЪ ЮСТИЦІЙ), რომ რევიზია უყოს ჩვენი მხარის ყველა სამსაჯულოებსო. ტფილისში მინისტრი მოვაო 16 ენკენისთვეს. რევიზიას უზამს ელიზავეტოპოლის, ბაქოს და ერევნის გუბერნიებს, შემდეგ ტფილისის გუბერნიას (26 სეკტემბერს) და ბოლოს ქუთაისისასო.

***

ახალი განკარგულებით ურიებს შესამჩნევად აეკრძალათ უნივერსიტეტებში შესვლა. ამ განკარგულებამ აიძულა ურიების ბევრი ახალ-გაზრდები მიეღოთ მართლ-მადიდებლობა. გაზეთი «ВОЖС. ВѢСТН». გვაუწყებს, რომ ხარკოვში 64 ებრაელს, რომელთაც სწავლა შეუსრულებიათ გიმნაზიებში, მიუღიათ მართლ-მადიდებლობა, რომ ამ გზით უნივერსიტეტებში შევიდნენ. ესევე ხდება თურმე ოდესაშიაც, სადაც ურიების სტუდენტები თანდათან ანებებენ თავს თავის სარწმუნოებას და ღებულობენ მართლ-მადიდებლობას.

***

დაბა ყვირილაში გაიხსნა კერძო სასწავლებელი, რომელიც ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის, პროგიმნაზიის, სასულიერო და სხვა სასწავლებლების პირველ კლასისათვის. სასწავლებელი ფული თითო ყმაწვილზე თვეში არის 3–7 მანეთამდე. თუმცა სკოლა გაიხსნა ამ თვის 10-ს, მაგრამ დღეს სკოლაში მოსწავლეთა რიცხვი 40 ამდის.

***

ტფილისის გუბერნატორმა გამოაცხადა ამას წინეთ გაზ. «კავკაზ»-ში, რომ ტყუვილად შეუშინებია ბორის მაზრის მცხოვრებნი ორიოდე ავაზაკსო. მარტო სამი-ოთხი მკვლელობა მოხდა ამ მაზრაშიო და ორიოდე ადგილას გაცარცვესო. ეხლა ზომებია მიღებული და იმედია მალე დაიჭირევენ ავაზაკებსაო. თანახმად ამ გამოცხადებისა გაზეთ «ივერია»-მაც გამოაცხადა, რომ ხალხს ტყუვილად შეშინებია და უსაფუძვლოდ ფიქრობს, ვითომც ბრბო ავაზაკებისა თავისუფლად დადიოდეს ბორის მაზრაშიო. ბოლოს გაზეთმა სასაცილოთ მოიყვანა ერთი ვირთხის ამბავი, რომელიც ერთ ურიის სახლში მომხდარიყო. ღმერთმან ჰქნას, რომ ყველა ეს ავაზაკები ვირთხები გამომდგარიყვნენ, მაგრამ საძაგელი საქმეები მაინც ხდებიან ამ მაზრისკენ დრო და დრო. ჩვენ შევიტყუეთ, რომ ავაზაკები დასხმიან თავზე ბლაღოჩინს მღვდელს ფილიშვილს და თოფით მოუკლავთ იგი. წაღებით კი ვერაფერი წაუღიათ, რადგან თოფის ხმაზედ ხალხი მოსულა. ხმებია, რომ ეს მკვლელობა სისხლის ძიებისაგან მოხდა. სისხლის ძიება ოსთა შორის, რომელ თემსაც მ. ფილიშვილი ეკუთვნოდა, დღესაც არსებობს.

## ჟურნალ გაზეთებიდამ.

ბ-ნს პორტუგალოვს პატარა შენიშვნა დაუბეჭდია გაზ. «НОВОСТ.»-ში იმის თაობაზედ, რომ ევროპის ყველა გამოჩენილნი და სახელ-განთქმულნი კაცნი ღარიბისა და უბრალო გვარის დედ-მამის შვილნი იყვნენო.

ვიღაც ბრძენს უთქვამსო, ამბობს ბ-ნი პორტუგალოვი, რომ, თუ რომელისამე ერის ამბავი გინდა შეიტყო, იკითხე, რამდენი სახელოვანი კაცი ჰყავს. ყველაზედ მეტი გამოჩენილი კაცები, რასაკვირველია, დასავლეთ ევროპაში უნდა მოვიკითხოთ. საკვირველი ის არის, რომ თითქმის ყველა მათგანი ღარიბის დედ-მამის შვილია.

სწორედ ახირებულია ეს ბუნებაცა იმით, რომ გენიოსობას და დიდ გონებას მიანიჭებს ხოლმე არა შეძლებულსა და დიდის გვარი-შვილის კაცს, არამედ ივლის და ყოვლად ღარიბს სალხში-კი დაჰბადებს სახელოვანსა და გამოჩენილსა.

აი, რა დედ-მამის პატრონები ყოფილან შემდეგი სახელ-განთქმულნი კაცნი: კოლუმბი—ფეიქრის შვილი; კოპერნიკი—უბრალო მოქალაქესი; კეპლერი—მედუქნესი; შექსპირი—მეხელთათმანესი; ნიუტონი—მეტად ღარიბის დედ-მამისა; გალილეი—მემუსიკესი; დალამბერი ბუში იყო, მამა ვაჭარი ჰყავდა; ლონგრაჟი—სამხედრო ხაზინადრისა; გერშელი—მემუსიკესი; ჟიუსტი—ღარიბის ფეიქრისა; ბენიამენ ფრანკლინი—ღარიბის დედ-მამისა; ლინეი—სოფლის მღვდლისა; ჟან-ჟაკ რუსო—ღარიბის მესაათესი; კიუვიე—სამსახურიდამ გამოსულის აფიცრისა; არისტოტელი—ექიმისა; სოკრატი—მექანდაკესი, სპინოზა—უბრალო ისრაელისა; კანტი—სირაჯისა: ვოლტერი ნოტარიუსისა; ლესინგი—მღვდლისა; შილლერი—სკოლის ზედამხედველისა, შილლერის დედა მებულკის ქალი ყოფილა; ბერანჟე—ღარიბის თერძისა; ბერნე—საწყალის ისრაელისა; პაპი გრიგოლ მე-VII გილდერანდტი—მჭედლისა; იოანე გუსი—სოფლელის გლეხ-კაცისა; მარტინ ლიუტერი—მადნის მთხრელისა; ჯორდანო ბრუნო—ჯარის კაცისა; სტეფენსონი—რკინის გზის მომგონი—მენახშირისა; ფულტონი—ცეცხლის გემის მომგონი—გლეხ-კაცისა; არკრაიტი—საქსოვის მაშინის მომგონი—თვითვე ღარიბი დალაქი იყო; უდიდესი უდიდესთა შორის ჩარლზ დარვინი იყო შვილი-შვილი მეჭურჭლესი («ივერია»).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# განცხადება.

ისყიდებიან მღვ. დავით ღამბაშიძისაგან გამოცემული წიგნები

თბილისში: ზრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში: ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ყვირილაში: ყვირილის ნათლის-მცემლის ეკკლესიის საეკკლესიო ნივთების საწყობში და დ. ხონში წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

სახელდობრ:

**საქართველოს საეკკლესიო ისტორია,**

ფასი უყდოთ—ცხრა შაური.

**ქართული ლოცვანი,**

ფასი უყდოთ 30 კ. და ყდით 45 კ.

მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო

**სახელმძღვანელო წიგნი,**

ფასი ყდით ექვსი შაური.

ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება, ფასი ორი აბაზი.

**ახალი კარაბადინი,**

ფასი ყდით ერთი მან.

**მცხეთის ტაძარი**

და

**წმიდა ნინო,**

ქართველთ განმანათლებელი

სურათებით ფასი 25 კ.

---

ბლაღოჩინების საყურადღებოდ

ბლაღოჩინებს, რომელნიც მთელი საბლაღოჩინოის ეკკლესიებისათვის დაიბარებენ შავი მეტრიკების და აღსარების სიებისათვის საჭირო ბლანკები, თითო კაპეიკათ გაეგზავნება ფურცელი ხსენებულს საბუთებისა.

შინაარსი: ვალდებულნი არიან თუ არა მღვდლები, რომ მათ უსასყიდლოთ იარონ სასამართლოებში მოწმეების დასაფიცებლად?—ჩემი შთაბეჭდილებანი რუსეთში მოგზაურობის დროს.—როდის არის ქვეყანა ბედნიერი?—სოფ. ოცინდალიდამ.—ორდუბათიდგან.—სოფიის ტაძრის სურათი.—გელათის მონასტერი.—კონსტანტინე მამაცაშვილის ორმოცდა ათი წლის იუბილეი.—ლექსები.—ახალი ამბები და შენიშვნები.—ჟურნალ-გაზეთთაგან.—განცხადებანი

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 1887 г. 14 август.*

საკუთარი მსწრაფლ-მბეჭდავი რედაქციისა.